01/08/2025

MES 2 25 0000939298

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.07.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 16:07
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
16. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:

1. ნაილა ჩელებაძე - ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

1. ოლეგ ჯიბაშვილი - საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

1. ტარიელ ებრალიძე - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

1. ნარგიზ სურმანიძე - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
1. ნონა შუშანიძე - ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
1. თემურ ტუნაძე - ტასუს ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
1. მზია შავაძე - იურდიული სამსახურის წარმომადგენელი;
1. ია შალამბერიძე - იურდიული სამსახურის წარმომადგენელი;
1. ეკატერინე გელენიძე - სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. ნოდარ ამაშუკელი - პრორექტორი
1. მეგი წითლიძე - პროფესორი, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი
1. თამარ მინაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
1. დავით ალექსიძე - პროფესორი
1. გია ჩლაიძე - პროფესორი, "ინტერიერის დიზაინის" პროგრამის ხელმძღვანელი
1. ნანა ქუთათელაძე - პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
1. ნათია ქოიავა - ასოცირებული პროფესორი
1. ნინო ღაღანიძე - პროფესირი, თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები:

გორან დურდევიკი (I საკითხი);
მერაბი ჭუმბურიძე (I საკითხი);
ქეთევან დიღმელაშვილი (I საკითხი);
ქრისტინე ჩიხლაძე (I საკითხი);
გიორგი მხეიძე (I საკითხი);
თამთა თურმანიძე (II, III, IV საკითხები);
თამარ ჩხეიძე (V, VI, VII საკითხები);
ლელა კიკნაველიძე (VIII, IX საკითხები).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო," საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო," საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის 1 - ის დასახელება: ისტორია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0222 - ისტორია და არქეოლოგია
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის 2 - ის დასახელება: საქართველოს ისტორია
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საქართველოს ისტორიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0222 - ისტორია და არქეოლოგია
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის 3 - ის დასახელება: არქეოლოგია
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქეოლოგიის მაგისტრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0222 - ისტორია და არქეოლოგია
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა გორან დურდევიკმა, ისაუბრა ექსპერტთა დასკვნის მიხედვით ძირითად მიგნებებზე. აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეხება თავად კურსების სილაბუსების გაუმჯობესებას. ეს მოიცავს როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურის განახლებას, შესაბამისობას თანამედროვეობასთან და ა. შ. ასევე, ექსპერტები უნივერსიტეტს ურჩევენ მეტი ინფორმაცია მიაწოდონ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, რომ ისინი მეტად იყვნენ ჩართულნი კურსისა და პროგრამის მიმოხილვაში. ამასთან, რეკომენდებულია ზოგადად უცხო ენის გაუმჯობესება და სტუდენტებისთვის ისეთი უცხო ენების შეთავაზება, რომელიც შესაბამისობაშია მათ რეგიონებთან. შემდეგი რეკომენდაცია ეხება ისეთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღებას, როგორიცაა ერაზმუსი, იარსი და სხვა. ეს მოიტანს მეტად ინკლუზიურ გარემოს როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისათვის. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის გაუმჯობესებაც. საჭიროა საერთაშორისო ბაზებზე წვდომა აკადემიური კუთხით მეტად განვითარებული იყოს, რომ მეტი წვდომა ჰქონდეთ სტუდენტებს საერთაშორისო გარემოზე. ასევე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მხრიდან მეტი თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, მეტი წიგნის უზრუნველყოფა და ვებ-გვერდზე ატვირთული მასალების ინგლისურ ენაზე გამოცემა, რათა ის შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე გამოცემულ ვებ-გვერდზე არსებულ მასალებს. თავად ამ კლასტერისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ანალიზი და შედარება თავად კურსების, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, რათა გამოიკვეთოს შესაბამისობები და განსხვავებები. ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მეტი პრაქტიკული სწავლებაა საჭირო კურსის ბოლოს. საქართველოს ისტორიის პროგრამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ ლექტორებმა ჩართონ მეტი პრაქტიკული სავარჯიშოები და მეტი პრაქტიკული სწავლება, რათა შესაბამისობაში იყოს სტანდარტთან და მოთხოვნებთან. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზეც საჭიროა გაიზარდოს პრაქტიკული მუშაობის საათები. სწავლის შედეგებთან მიმართებით გაიცა რჩევა გამოყენებული უნდა იყოს აქტიური

ზმნა კურსის დასახელებაში. შემდეგი რჩევა ეხება სამაგისტრო პროგრამას და მის თეზისს, რომ შესაბამისობაში იყვნენ სტუდენტები სამაგისტრო თეზისის წერის სტანდარტებთან და ლექტორებმა შესაბამისი მეთოდოლოგია შესთავაზონ სტუდენტებს. ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელია მიმდინარე ტრენინგების განხორციელებითა და ჩატარებით. ასევე, მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხრიდან უკუკავშირის მიღება. ხაზი გაესვა იმასაც, რომ უნივერსიტეტის მხრიდან წახალისებულნი უნდა იყვნენ სტუდენტები, რომ მიიღონ მონაწილეობა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ სხვადასხვა სამეცნიერო ტრენინგებსა და კონფერენციებში. ამისთვის კი უნდა გამოიყენებოდეს სპეციალური მეთოდოლოგია. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას, აღინიშნა, რომ რეკომენდებულია კვლევის მეთოდები და ისტორია ჩაიდოს კურსად პროგრამაში და მოგვარდეს წინაპირობებთან დაკავშირებული საკითხებიც. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ვორქშოფებისა თუ სხვა სახის შეხვედრების ჩატარება, რომლებიც შეეხება სწავლების ეთიკას. ექსპერტის მხრიდან აღინიშნა ისიც, რომ პროგრამაში იყო ერთი ტექნიკური ხარვეზი, რაც გულისხმობს იმას, რომ არასწორად იყო კრედიტების რაოდენობა მითითებული და შემდეგ უკვე ექსპერტთა მითითება შეეხო უცხო ენის მითითებას მიღების წინაპირობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ ტუნაძემ მან აღნიშნა, რომ საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს დაწესებულებას რეკომენდაციებთან დაკავშირებით და ფაქტობრივად ყველა მათგანს იზიარებს ის. ხაზი გაესვა სწავლის შედეგების წესსა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტს, რომელშიც უნივერსიტეტი გეგმავს ცვლილებების შეტანას. ეს ცვლილება აკონკრეტებს სილაბუსის თანამონაწილეობას ამ სწავლის შედეგების შეფასებაში. ასევე, გაზიარებულია რეკომენდაცია პრაქტიკებთან მიმართებით და გადადგმულია ნაბიჯებიც. ქართულ და ინგლისურ თარგმანთან არსებული შეუსაბამობებიც აღმოიფხვრება დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ სამივე პროგრამა იყო პირობით აკრედიტირებული და მას აინტერესებდა აღნიშნული რეკომენდაციები ჰქონდათ თუ არა პირველ ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, რაც გაცემული იყო პირობითი აკრედიტაციის ფარგლებში და ეს ყველაფერი თვითშეფასების ანგარიშში იყო წარმოდგენილი.

ციური დურულმა ექსპერტებს მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა, რამდენად ადეკვატური იყო სწავლის შედეგების რეკომენდაციის მეტწილად შეფასება იმის ფონზე, რაც წარმოდგენილია დოკუმენტში.

ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი ჰქონდა ნამუშევარი. წინა აკრედიტაციის შემდეგ ეს ცალსახად ნათელი იყო, ამიტომ ის საკითხები, რომლებზეც ყურადღება გამახვილდა ექსპერტთა მხრიდან მარტივად გამოსასწორებელია და კიდევ ერთხელ მოითხოვს გადახედვას აკადემიური გუნდის მიერ.

თემურ ტუნაძემ აღნიშნა, რომ პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც ყველაფერი წარმოდგენილია დეტალურად. ერთადერთი, სადაც შესაძლებელია ცვლილებების შეტანა ინდიკატორის საკითხია.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშრებით. მას აინტერესებდა რა ტიპის პრობლემა გამოვლინდა უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომებში, რადგანაც დასკვნაში არ არის საკმარისი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. მან მეორე კითხვით დაწესებულებას მიმართა. მას აინტერესებდა არსებობს თუ არა უნივერსიტეტში ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი.

თემურ ტუნაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების მექანიზმი 2 მიმართულებით. პირველი, როდესაც თვითონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი აკეთებს თვითშეფასებას, ხოლო მეორე შემთხვევაში თავად მაგისტრანტი აკეთებს შეფასებას.

მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, სამაგისტრო ნაშრომთან გაცემულ რეკომენდაციაში საქმე ეხებოდა სტუდენტების მეტ ინფორმირებულობას. სამაგისტრო ნაშრომები საკმაოდ ნორმალური იყო. მათი შესრულებისას სტუდენტები იცავენ გარკვეულ წესებს, მაგრამ ზოგიერთი სტუდენტის შემთხვევაში აუცილებელი იყო მეტი ინფორმაციის მიწოდება და რეკომენდაციაც ამის საფუძველზე გაიცა.

ირინა ლობჟანიძემ 1.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით კვლავ ექსპერტებს მიმართა. მას აინტერესებდა, თუ რა ტიპის პრობლემატიკა გამოვლინდა შეფასებასთან დაკავშირებით, რადგანაც სილაბუსებში წარმოდგენილია პრეზენტაციები, შუალედური გამოცდები და ა.შ.

მერაბ ჭუმბურიძემ განმარტა, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით შეფასების სისტემა უნდა შემუშავებულიყო სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ სილაბუსში იქნება კონკრეტული აქტივობა, თუ რომელ სემესტრში რომელი აქტივობით მოხდება პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, თუ რა დრო დასჭირდება 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებას.

მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის შემდეგ უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი სამუშაო შეასრულა ლიტერატურის დამატებასა და დამატებითი ლიტერატურის მოძიებასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ყოველივეს გამოსასწორებლად დაწესებულებას დიდი დრო არ დასჭირდება თუ მუდმივად იზრუნებს ამ საკითხზე.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, შემდეგი კითხვით დაწესებულებას მიმართა. მან აღნიშნა, რომ 1.5 კომპონენტში ფიქსირდებოდა კურსების სათაურებსა და სილაბუსებს შორის შინაარსობრივი შეუსაბამობები. მას აინტერესებდა იყო თუ არა მსგავსი საკითხი დასმული წინა აკრედიტაციის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად არ ახსოვს იყო თუ არა მსგავსი რეკომენდაცია, თუმცა ამ შემთხვევაში რეკომენდაცია გულისხმობდა იმას, რომ პროგრამა არის საქართველოს ისტორია, ხოლო სილაბუსს ჰქვია მსოფლიო ისტორიის პრობლემები. დაწესებულება მიიჩნევს, რომ შესაძლოა სილაბუსის სახელწოდება შეიცვალოს, თუმცა შინაარსობრივად დარჩეს საერთაშორისო კონტექსტებზე ორიენტირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნაილა ჭელებაძემ, აღნიშნა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაში ნაგულისხმები იყო, რომ საგანი „მსოფლიო ისტორიის პრობლემები“ შეესაბამებოდა არა სამაგისტრო, არამედ საბაკალავრო პროგრამას.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა ზემოაღნიშნული პრობლემა რამდენ კურსს ეხებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტიზაცია მხოლოდ ამ კურსთან მიმართებით იყო ექსპერტთა მხრიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:51
დასრულების დრო: 15:08
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 1 მაისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 1 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 1 მაისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “საქართველოს ისტორიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 1 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 1 მაისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 1 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, მიღებული გადაწყვეტილებები 3-ვე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ძალაში შესულიყო 2025 წლის 1 მაისიდან. საბჭომ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

აბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობა დააყენა რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო ანგარიშები ერთად განხილულიყო. დაწესებულებამ გამოთქვა თანხმობა განსახილველი საკითხები განხილულიყო ერთად, ასევე საბჭოს შემადგენლობაც დაეთანხმა აღნიშნულ საკითხს.

ეორე, მესამე და მეოთხე საკითები:

2. მეორე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

3. მესამე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

4. მეოთხე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ წარმოდგენილ ანგარიშებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მეორე, მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.
ექსპერტი თამთა თურმანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ ხუთი სტანდარტიდან 4 შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო. სულ გაიცა 7 რეკომენდაცია, რომელიც მეორდება სამივე პროგრამაში. პირველ რეკომენდაციაში რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისათვის სამიზნე ნიშნულების შემუშავება და ამ პროცესში, უშუალოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ჩართვა. ეს რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა. შეიქმნა გარკვეული ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ფაკულტეტის წარმომადგენლები. მათ კიდევ ერთხელ შეაფასეს არსებული მდგომარეობა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ქართულ ენაზე არსებულ პროფესიულ ლიტერატურას. ამასთან დაკავშირებითაც საკმაოდ პოზიტიური ნაბიჯები გადადგა დაწესებულებამ. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო კვლევითი მექანიზმების დაფინანსების გაუმჯობესებას. ამ მხრივ, გარკვეული ცვლილებები იყო შეტანილი უშუალოდ პროექტის დაფინანსების წესში და კერძოდ კომისიაში, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რომელი პროექტი უნდა იყოს დაფინანსებული. ამასთან შემუშავდა ახალი კრიტერიუმები, რომელიც მეტად გამჭვირვალეს ხდის დაფინანსების პროცესს. გარკვეული ცვლილებები იყო განხორციელებული მეოთხე რეკომენდაციასთან მიმართებაში. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა მატერიალურ უზრუნველყოფას და, ამ მხრივაც, იყო გადადგმული დამაჯერებელი ნაბიჯები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო შესაბამისი ხარჯვის ამსახველი ინფორმაცია. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა კითხვარები. ამასთან 2024 წელს დაწესებულებამ შეიძინა 190 ერთეული სამხატვრო ინვენტარი, ხოლო უშუალოდ იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტებს დიდი დროის გატარება უწევთ აკადემიაში ერთი რეგულაცია ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც აკადემიაში ფუნქციონირება დაიწყო

კაფემ. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებითაც ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტმა გაატარა უამრავი ღონისძიება. ასევე, ინსტიტუციამ გაითვალისწინა რამდენიმე რჩევაც. სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით გაცემული იყო დამატებით 2 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის თანახმად სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურმა პერსონალმა, რაზეც დაწესებულების პასუხი იყო ის, რომ მას არ გააჩნია დოქტორანტურის საფეხური. მეორე რეკომენდაცია კი ეხებოდა სცენოგრაფიის პროგრამას, სადაც აღნიშნული იყო, რომ პროგრამის მდგრადობის კუთხით მნიშვნელოვანი იყო აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღინიშნა, რომ მათ იმუშავეს ამ თემაზე და შესაბამისი კონკურსიც გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურასთან დაკავშრებით აკადემიამ შემდეგი პოლიტიკა ჩამოაყალიბა, აკადემიის ადმინისტრაციამ დაავალა ფაკულტეტებს წელიწადში ორჯერ მოამზადონ პროექტის სახით იმ მომენტისთვის რამდენი სახელმძღვანელო იქნება უკვე მზად. უახლესი მონაცემებით 4 სახელმძღვანელო უკვე არის. მეორე მიმართულება ეს არის ნათარგმნი სახელმძღვანელოები, ამ მხრივ, უნივერსიტეტს უკვე მოპოვებული აქვს საკმაოდ საინტერესო სახელმძღვანელო, „ხელოვნების ისტორია და თეორია“, რომლის თარგმნისა და გამოცემის უფლებაც მოიპოვა უნივერსიტეტმა. პირსონის გამომცემლობის სახელმძღვანელოა და ახლა იწყება სახელმძღვანელოს მეხუთე ნაწილის თარგმნა და დაბეჭდვა. მატერიალურ ნაწილთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დოკუმენტების წარდგენა ახლა, რომ ყოფილიყო შესაძლებელი გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა ტენდერებიც, მიღება-ჩაბარების აქტებიც და ა. შ. ხარისხის სამსახურის პრეროგატივასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2 ანგარიში და კიდევ 2 დაემატა. მათ შორისაა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. აღინიშნა ისიც, რომ პრაქტიკულ პროექტებთან გაცემული რჩევა უკვე გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

ეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხები:

5. მეხუთე საკითხი:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

6. მეექვსე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

7. მეშვიდე საკითხი:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ წარმოდგენილ ანგარიშებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ეს სამი პროგრამა იმავე კლასტერში შედიოდა, რომელშიც პირველი სამი. შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია მეორდება, რაც უკვე განხილულ იქნა ექსპერტის მიერ. თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით იყო თითო განსხვავებული რეკომენდაცია და ხაზი გაესვა იმას, რომ სამივე რეკომენდაცია არის შესრულებული. ექსპერტის თქმით, დაწესებულება არა მარტო რეკომენდაციებს, არამედ რჩევებსაც პასუხისმგებლობით მოეკიდა და ყველა მათგანი გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციას ეთანხმება დაწესებულება და გადადგმულია უკვე ნაბიჯები ამ კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 15:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მერვე და მეცხრე საკითხები:
8. მერვე საკითხი:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

9. მეცხრე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ წარმოდგენილ ანგარიშებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მერვე და მეცხრე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა ლელა კიკნაველიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. რეკომენდაციები გაიცა მეორე და მეოთხე სტანდარტში, რომლებიც უნივერსიტეტმა გაიზიარა. სულ გაიცა 5 რეკომენდაცია, რომელთაგან 3 აღნიშნული პროგრამებისთვის იყო საერთო და 2 ინდივიდუალური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ანგარიშის ჩაბარების შემდეგ გავიდა დიდი დრო და ანგარიშში ვერ მოხვდა ის, რომ ორივე პროგრამაზე გაიზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:03
დასრულების დრო: 16:07

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2^{1} – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო

აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ინტერიერის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2^{1} – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ინტერიერის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

ყველა საკითხის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:07 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე